იდიდე მარად, ჩემო სამშობლოვ!

საბჭოს ხმა

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების გამოცემა

გამოცემის მე-12 წელი

№ 23 (183)

დეკემბერი,

1967 წელი



ქალაქი ჭიათურა.

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების IV პლენუმი

მ ს ჯ ე ლ ე ბ ა

ჩატარდა უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების IV პლენუმი. პლენუმმა მოისმინა საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარის, თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორის პავლე ვასილის-ძე ხუჭუას ანგარიში უკანასკნელი ერთი წლისა და ოთხი თვის განმავლობაში საზოგადოების მიერ ჩატარებული მუშაობის შესახებ.

საანგარიშო მოხსენების გამო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის პროფესორმა გ. იმედაშვილმა, „ვეფხისტყაოსნის“ ფრანგულ ენაზე მთარგმნელმა, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატმა ს. წულაძემ, საქართველოს სსრ მწერალთა კავშირის აჭარის განყოფილების მდივანმა მწერალმა ფრ. ხალვაშმა, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა ეფრემ II, მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის დირექტორმა პროფესორმა დ. ლორთქიფანიძემ და სხვ.

პლენუმმა საზოგადოების პრეზიდიუმის მიერ ჩატარებული მუშაობა ჩათვალა დამაკმაყოფილებლად და მიიღო ღონისძიებანი მომავალში მუშაობის კიდევ უფრო გაუმჯობესებისათვის.

პლენუმმა აირჩია უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების პრეზიდიუმის ახალი შემადგენლობა, რომელშიც შევიდნენ: საქართველოს სსრ თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარე, რესპუბლიკის სახალხო არტისტი დ. ანთაძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი ო. გიგინეიშვილი, საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრული და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. გიგოშვილი, გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორის მოადგილე ბ. გოგიაშვილი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი აკადემიკოსი რ. დვალი, ახალგაზრდული ორგანიზაციების რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე რ. დონაძე, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ეშრემ II, უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების უფროსი რეფერენტი ბ. კავთიაშვილი, საქართველოს კ. მარქსის სახელობის რესპუბლიკური ბიბლიოთეკის დირექტორი პ. კანდელაკი, ჟურნალისტი აპ. ნიშარაძე, საქართველოს სსრ კვების მრეწველობის მინისტრის მოადგილე ო. ჩუბინიშვილი, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მეცნიერი თანამშრომელი, ჟურნალისტი ა. ცამციშვილი, საბჭოთა კავშირის გმირი, თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის პროფესორი, არქიტექტორი ირ. ციციშვილი, თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიის პროფესორი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე პ. ხუჭუა, რესპუბლიკის სახალხო არტისტი მ. ჯაფარიძე.

შედგა ახლად არჩეული პრეზიდიუმის პირველი სხდომა, რომელმაც განიხილა საორგანიზაციო საკითხები.

პრეზიდიუმმა განიხილა ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის პროფ. პ. ხუჭუას განცხადება და დააკმაყოფილა მისი თხოვნა პედაგოგიურ და მეცნიერულ-კვლევით მუშაობით გადატვირთვის გამო საზოგადოების თავმჯდომარის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ.

სხდომამ საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარედ აირჩია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი ომარ გიგინეიშვილი.

თავმჯდომარის მოადგილეებად არჩეული არიან პროფესორი ირ. ციციშვილი და ო. ჩუბინიშვილი.

ვეხებით პროფესორ პ. ხუჭუას მოხსენებას და კამათში გამოსული ზოგიერთი ამხანაგის სიტყვებს შემოკლებული სტენოგრამის სახით.

საანგარიშო მოხსენებიდან



უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების პრეზიდიუმის ანგარიში, რომელსაც გიდგენთ განსახილველად, მოიცავს უკანასკნელი ერთი წლისა და ოთხი თვის მუშაობას. განვლილი პერიოდი სავსე იყო საერთაშორისო მნიშვნელობის ისეთი მოვლენებით, რომლებმაც კვალი დაჩნიეს ადამიანთა ცხოვრებას როგორც ჩვენში, ისე საზღვარგარეთ. ეს იყო პერიოდი ჩვენი სახალხო მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის კიდევ უფრო განვითარებისა და აყვავებისა, ჩვენი საშინაო და საგარეო პოლიტიკის უდიდესი გამარჯვებისა, რამაც მნიშვნელოვნად აამაღლა და განამტკიცა საბჭოთა კავშირის საერთაშორისო ავტორიტეტი.

საანგარიშო პერიოდში საზოგადოების პრეზიდიუმი ყოველ ღონეს ხმარობდა, რათა ხელი შეეწყო სხვადასხვა ქვეყნებში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის გაფართოებისათვის, ცდილობდა უკეთ გაეცნო მათთვის ჩვენი ყოველდღიური ცხოვრება და მომავლის პერსპექტივები. ამის შესახებ ფართოდ მოვუთხრობდით მათ ჩვენი გაზეთის ფურცლებზე და რადიოგადაცემებში, პირადი შეხვედრებისა თუ ჩვეულებრივი მიმოწერის დროს. ამასთანავე მუდამ ვცდილობდით ვყოფილიყავით ობიექტურნი, არ დაგვეწყო შეუსაბამო ტრაბახი წარმატებებზე. საქმისადმი ასეთმა მიდგომამ, მკითხველებისა და მსმენელებისადმი გულწრფელმა დამოკიდებულებამ მნიშვნელოვნად გაზარდა ჩვენი საზოგადოების ავტორიტეტი, რაზედაც ნათლად მეტყველებენ საზღვარგარეთიდან მიღებული წერილები, რომელთა რაოდენობა სისტემატურად იზრდება.

უცხოეთში მცხოვრები ზოგიერთი თანამემამულე ცდილობს აქტიურად ითანამშრომლოს ჩვენთან, გვიგზავნის მასალებს რადიოსა და გაზეთისათვის, გვიზიარებს შთაბეჭდილებებს, გვაძლევს რჩევას მუშაობის გაუმჯობესების მიზნით.

ომის შემდეგ საზღვარგარეთის ქვეყნებთან ურთიერთობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. ფართოდ განვითარდა საერთაშორისო ტურიზმი. ახლა ჩვენთან ყოველწლიურად ათასობით უცხოელი ჩამოდის სტუმრად. მათ შორის არიან ჩვენი თანამემამულენიც. ისინი უდიდესი ყურადღებით აკვირდებიან ყველაფერს, რაც ჩვენში ხდება, გულისყურით ეცნობიან ყოველგვარ მასალას, რასაც რაიმე კავშირი აქვს სამშობლოსთან, და რწმუნდებიან, რომ სრულებითაც არ ვეკუთვნით გუდამატყუარათა რიცხვს, რომ ჩვენში მართლაც ბევრი რამ გაკეთდა საამაყო. ისინი რწმუნდებიან, რომ მომავლის ჩვენი გეგმები უნიადაგო მეოცნებეთა ფანტაზიის ნაყოფი კი არ არის, არამედ დღევანდელი შესაძლებლობებიდან გამომდინარე ობიექტური დასკვნები, გეგმები და მიზანდასახულობანია.

ცხადია, ჩვენ ჯერ კიდევ გვაქვს ნაკლოვანებანი, მაგრამ ისინი იმდენად უმნიშვნელოდ მოჩანან საერთო წარმატებათა ფონზე, რომ მათზე ყურადღების გამახვილება ჩვენს გაზეთსა თუ რადიოგადაცემებში სრულიადაც არ იქნებოდა გამართლებული. ამას არც გვთხოვენ ჩვენი მკითხველები თუ რადიომსმენელები, მით უფრო, რომ ყველა მათგანს საშუალება აქვს გამოიწეროს ქართული ჟურნალი თუ გაზეთი, სადაც წარმატებებთან ერთად ნაკლოვანებებზეც გვაქვს ხოლმე ლაპარაკი.

რა წარმოადგენს ჩვენი საზოგადოების ძირითად მიზანს? რაში უნდა ვხედავდეთ ჩვენს მოწოდებას? რითი შეგვიძლია გამოვადგეთ ყველაზე მეტად უცხოეთში დარჩენილ მოძმეთ?

ამ კითხვებზე პასუხი თვით თანამემამულეთა მიერ საზღვარგარეთიდან გამოგზავნილ ბარათებში შეიძლება ამოვიკითხოთ: „ნეტავი ერთხელ კიდევ მაჩვენა საქართველო, ჩემზე დარდით გათეთრებული დედა და მერე თუნდაც მაშინვე მომკლა...“ „შვილი მეღუპება, ერთადერთი შვილი! დაღუპვა ჰქვია, აბა რა არის, როცა ქართველმა კაცმა ქართული ენა არ იცის!..“

დიახ, ეს არის მათი უდიდესი და უძვირფასესი სანატრელი — სამშობლოსა და ახლობლების ნახვა, ქართული ენის არდავიწყება.

საანგარიშო პერიოდში საზოგადოების მოწვევით საქართველოში სტუმრად იმყოფებოდა 11 თანამემამულე. უფრო მეტს დახმარება გავუწიეთ სამშობლოში კერძო ვიზით ჩამოსვლის დროს საქართველოს ღირსშესანიშნაობათა გაცნობაში. გარდა ამისა, გასულ წელს სტუმრად მოვიწვიეთ ჟ ფრანგი და 1 ჰოლანდიელი პარტიზანი, რომელთაც გერმანული ფაშიზმის წინააღმდეგ ომის დროს დიდი დახმარება აღმოუჩინეს ტყვედ ჩავარდნილ ქართველ მეომრებს. საქართველოში მიღებული შთაბეჭდილებების შესახებ საზღვარგარეთის პრესაში მათ მიერ გამოქვეყნებულმა მასალებმა დიდად შეუწყო ხელი არა მარტო გარექართ-



სურათებზე: ზემოთ — პროფესორი პ. ხუჭუა; ქვემოთ — საზოგადოების მეოთხე პლენუმის პრეზიდიუმი.

კოლხური კავშირი

ველთა კიდევ უფრო მეტად დაინტერესებას სამშობლოში მომხდარი ცვლილებებით, არამედ აგრეთვე საფრანგეთისა და ჰოლანდიის ხალხებთან ჩვენი ხალხის კიდევ უფრო დაახლოებას, მეგობრული გრძნობის გაღრმავებასა და განმტკიცებას.

სამწუხაროდ, უნდა ითქვას, რომ უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეთა ბევრ სურვილსა და მოთხოვნილებას ჯეროვნად ვერ ვაკმაყოფილებთ. ამას აქვს ჩვენგან დამოუკიდებელი ობიექტური მიზეზებიც, რომელთა გამოსწორებაც თვით გარექართველთა მონდომებაზეა დამოკიდებული. ამის შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი. აქ კი შეგახსენებთ, რომ ჩვენი საზოგადოება სულ ოთხიოდე წელია რაც არსებობს და მუშაობის გამოცდილებას ახლაღა ვიძენთ. დღეს ჩვენს აქტივს მრავალი ისეთი წევრი ემატება, რომელთაც შეუძლიათ და კიდევაც გვიწევენ ფასდაუდებელ დახმარებას გარექართველებთან მუშაობაში. ესენი არიან ჩვენი სახელოვანი მეცნიერები, ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკები, გამოჩენილი სპორტსმენები, რომელთაც ხშირად აქვთ საშუალება უცხოეთში ყოფნისას პირადად შეხვდნენ ჩვენს თანამემამულეებს, გაიგონ და გადმოგვცენ მათი სურვილები, მათი მისწრაფებანი და ამით დაგვეხმარონ მუშაობის უკეთ წარმართვაში.

სამშობლოსთან გარექართველთა სულიერი კავშირის განმტკიცების ერთერთ უმნიშვნელოვანეს საშუალებას ქართული დედაენა, ქართული წიგნი, ქართული კინოფილმი და სხვა კულტურული ნაზარევი წარმოადგენს.

საანგარიშო პერიოდში საზღვარგარეთ გავგზავნეთ რამდენიმე ასეული დასახელების ქართული წიგნი, სიმღერის ჩანაწერი, ფოტოსურათი... რამდენიმე ქვეყანაში შევძელით შეგვექმნა ქართული კერძო ბიბლიოთეკები, ჩვენ მათ სისტემატურად ვამარაგებთ წიგნებითა და სახელმძღვანელოებით, რომლებითაც თავისუფლად სარგებლობს იქ მცხოვრები ყველა თანამემამულე.

შეგვეძლო უფრო მეტის გაკეთება, კერძოდ, შეგვეძლო გაგვეგზავნა ქართული დიაფილმები და კინოფილმები, რომლებიც ყველაზე უფრო ცხოველ ინტერესს გამოიწვევდა საზღვარგარეთ მცხოვრებ თანამემამულეთა შორის, მაგრამ სამწუხაროა, ის, რომ პარიზშიც კი, სადაც თითქოს უფრო მეტ ინიციატივას იჩენენ ჩვენი თანამემამულენი, არ გააჩნიათ ისეთი მოზრდილი ოთახი, სადაც შესაძლებელი იქნებოდა ფილმების სისტემატური ჩვენება. ცხადია, პარიზში თუ სხვაგან კინოთეატრის დაქირავება ჩვენ არ შეგვიძლია, მაგრამ თუ ამას თვით იქ მცხოვრები თანამემამულენი გააკეთებენ, მზად ვართ გავუგზავნოთ მათ საინტერესო ქართული ფილმები, რომელთაც მსოფლიო აღიარება ჰპოვეს.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ საზღვარგარეთის იმ ქალაქებსა და სოფლებშიც კი, სადაც ქართველთა საკმაოდ დიდი რაოდენობა ცხოვრობს, არ არსებობს არათუ ქართული სკოლა (თუნდაც დაწყებითი), არამედ უბრალო წრეც კი, სადაც დაინტერესებულ ახალგაზრდობას შეეძლოს მიიღოს კვირაში ორიოდე გაკვეთილი მაინც ქართულ ენაში.

სულ ახლახანს საქართველოში სტუმრად იმყოფებოდა ჩვენი ახალგაზრდა თანამემამულე სორბონის უნივერსიტეტისა და პარიზის აღმოსავლური ენების ინსტიტუტის კავკასიური ენების კათედრის პროფესორი გიორგი შარაშიძე. ეს არის შესანიშნავი მონაცემების მქონე მეცნიერი — ლინგვისტი, რომელიც მთელ თავის უნარსა და ენერგიას კავკასიური ენების, ძირითადად ქართული ენისა და ლიტერატურის, ჩვენი ისტორიის შესწავლისა და პროპაგანდის კეთილშობილურ საქმეს ახმარს. აქ არაფერს აღარ ვიტყვი იმ შთაბეჭდილებების შესახებ, რომელიც მან საქართველოში ყოფნის დროს მიიღო, იმ გულთბილ დამოკიდებულებასა და მშობლიურ დახმარებაზე, რაც მას ჩვენმა სახელმოხვეჭილმა მეცნიერებმა გაუწიეს. აღვნიშნავ მხოლოდ, რომ გიორგი შარაშიძისათვის, ისევე როგორც ჩვენთვის, **ყველაზე გულდასაწყვეტი ის აღმოჩნდა, რომ ქართული ენის კათედრაზე, რომელსაც იგი ხელმძღვანელობს პარიზში, არცერთი ქართველი არა სწავლობს.**


არსებული მდგომარეობიდან ერთერთი გამოსავალი, ჩვენი აზრით, ის არის, რომ საქართველოში სასწავლებლად ჩამოვიყვანოთ უცხოეთში მცხოვრები რამდენიმე ახალგაზრდა, რომელთაც სურვილი აქვთ საფუძვლიანად შეისწავლონ მსოფლიოში ერთერთი ყველაზე უძველესი და უმდიდრესი ქართული ენა, რათა შემდეგში რაიმე მნიშვნელოვანი გააკეთონ მსოფლიოს სხვა ხალხებში მისი პოპულარიზაციისათვის. ცხადია, სასწავლებლად მოწვეული ახალგაზრდები მთლიანად სახელმწიფო ხარჯზე იქნებიან. ამასთანავე ალბათ საჭირო გახდება გავუწიოთ მათ ფულადი დახმარება, უფრო სწორად — ყოველწლიურად გადავიხადოთ სამგზავრო ხარჯები, რომელიც მათ დასჭირდებათ ზაფხულის პერიოდში, რათა არდადეგები საზღვარგარეთ გაატარონ მშობლებთან ერთად. სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, რასაკვირველია, ყველა მათგანს სრული შესაძლებლობა ექნება სადაც სურს და როგორც სურს ისე გამოიყენოს აქ მიღებული ცოდნა. საზღვარგარეთ დაბრუნების შემთხვევაში ჩვენ მათი სახით იქ გვეყოლება ქართული კულტურის საუცხოო პროპაგანდისტები.

ამ საკითხზე შედარებით ვრცლად იმიტომ შევჩერდი, რომ საზოგადოების პრეზიდიუმს უკვე აქვს რამდენიმე მოთხოვნა საზღვარგარეთ მცხოვრებ თანამემამულეთაგან, რომელთაც სურვილი აქვთ გამოგზავნონ თავიანთი შვილები საქართველოში სასწავლებლად. მომავალში მსურველები ალბათ უფრო მეტნი იქნებიან და მაშინ საჭირო გახდება ჩვენი საზოგადოების უფრო აქტიური მუშაობა, რათა ყველა მათგანს შევუქმნათ სწავლის, შრომისა და დასვენების კარგი პირობები.

რასაკვირველია, ყველა მსურველს საქართველოში სასწავლებლად ვერ ჩამოვიყვანთ, მაგრამ ქართული ენის შესწავლაში კი აუცილებლად უნდა შევუწყოთ ხელი. სწორედ ამ მიზნით განვიზრახეთ მომავალი წლიდან დავიწყოთ სპეციალური სახელმძღვანელო წიგნების გამოცემა, რომლებიც ერთნაირად გამოსადეგი იქნება უცხოეთის სხვადასხვა ქვეყნებში მცხოვრები თანამემამულეებისათვის. ვფიქრობთ, ამ სახელმძღვანელოების გამოცემამდე გაზეთ „სამშობლოს ხმის“ ყოველ ნომერში მივცეთ ქართული ენის გაკვეთილები საფრანგეთში მცხოვრებ თანამემამულეთათვის. საფრანგეთიდან იმიტომ ვიწყებთ, რომ იქ შედარებით მეტმა ახალგაზრდამ იცის ქართული ანბანი. ჩვენ მიერ მიცემული გაკვეთილები თუ სახელმძღვანელოები მთლიანად უნაკლო არ იქნება, მაგრამ იმედი გვაქვს, რომ თვით უცხოეთში მცხოვრები თანამემამულენი გაგვიწევენ დახმარებას თავიანთი შენიშვნებითა და მითითებებით, რაც მომავალში დიდად გამოგვადგება.



სურათზე: საზოგადოების IV პლენუმის სხდომის დარბაზში. წინა პლანზე, მარჯვნიდან — ცნობილი ქართველი მეცნიერები შალვა ამირანაშვილი და გიორგი ახვლედიანი.



გ. იმედაშვილი,

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის პროფესორი.

ამოცანები, რომლებიც ჩვენი საზოგადოების წინაშეა დასახული, მეტად მნიშვნელოვანია და ყველა ჩვენგანის აქტიურ მონაწილეობას მოითხოვს.

პირველ რიგში უნდა გავუმჯობესოთ ჩვენი გაზეთის შინაარსი, გავზარდოთ მისი ტირაჟი. მკითხველთა რაოდენობის გაზრდა მხოლოდ ქართული ენის სწავლებით, მისი პროპაგანდით შეიძლება. ამიტომაც უმოკლეს ხანში უნდა დავიწყოთ ქართული ენის გაკვეთილების მიცემა გაზეთის საშუალებით. ბოლოს და ბოლოს უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ყოველი ადამიანი, რომელიც საზღვარგარეთ ქართულ გვარს ატარებს, პატივს სცემდეს, სწავლობდეს და უყვარდეს საქართველო, თუნდაც აქ სისხლითა და ხორცით ახლო ნათესავი არც კი ჰყავდეს.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ახალგაზრდობასთან მუშაობას, რადგან, დიდი სურვილის მიუხედავად, მათ საშუალება არა აქვთ შეისწავლონ ქართული ენა. ამიტომაც უფრო მეტი რაოდენობით უნდა მოვიწვიოთ ისინი სტუმრად და სასწავლებლად.

◆

ს. წულაძე,

მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, „ვეფხისტყაოსნის“ ფრანგულ ენაზე მთარგმნელი.

რამდენიმე წელიწადია, რაც დავბრუნდი სამშობლოში. ცხოვრების უმეტესი ნაწილი უცხოეთში გავატარე. ახლაც თითქმის ყოველწლიურად მიხდება საფრანგეთში რამდენიმე თვით ცხოვრება, რადგან იქაც დამრჩნენ ახლობელი ადამიანები. ამიტომაც საკმაოდ კარგად ვიცნობ უცხოელი თანამემამულეების ბუნებას, მათს აზრებსა და სურვილებს. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ თითქმის ყველანი ჩვენი სამშობლოს უდიდესი პატრიოტები არიან.



ეს ითქმის იქ დაბადებულ ქართველებზეც, რომელთაც, სამწუხაროდ მშობლიური ენა არ იციან. თუმცა ამ შემთხვევაში ენის ცოდნას გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს, მაგრამ იგი დიდ როლს ასრულებს სამშობლოსთან დაახლოების საქმეში. თუკი მშობლიური ენა ეცოდინება, ახალგაზრდა თანამემამულე უფრო ადვილად გაიგებს ჩვენს გულისწადილს. ამიტომაც ამ საკითხს მეტი ყურადღება უნდა დავუთმოთ. უნდა გავითვალისწინოთ ზოგიერთი სპეციფიკური მხარე. კერძოდ ის გარემო, რომელშიც უხდებათ ცხოვრება ჩვენს თანამემამულეთ, იქაური პრესისა და რადიოს მუშაობის მეთოდები, რომელთა გავლენითაც ჩამოყალიბდება ან ყალიბდება მათი შეგნება და აზროვნება.

ზოგიერთ შემთხვევაში მათ სულ სხვა სულიერი განცდები აღელვებთ და ამოძრავებთ. ამას ანგარიში უნდა გაეწიოს, ეს უნდა შევისწავლოთ, თუ გვინდა, რომ ჩვენი ნათქვამი მათთვის გასაგები გახდეს. ეს იმას ნიშნავს, რომ ზოგჯერ ჩვენს საუბარს იქაური ნიადაგი ჭქონდეს, რომ მკითხველი დაეინტერესოს. ყოველივე ეს არ გამორიცხავს იმას, რომ გაზეთისა და რადიოს საშუალებით ფართოდ გავაშუქოთ ჩვენი რესპუბლიკის ცხოვრება. ჩვენ უნდა მოვახდინოთ იქაური და აქაური ამბების იმ-

(დასასრული მე-6 გვ.).

დიდი მეცნიერი, მამულიშვილი

აკადემიკოს ილია ვეკუას დაბადების 60 წლისთავი

პატივცემულო ილია ნესტორის-ძევ!

...თქვენ ხართ უდიდესი მეცნიერი, რომლის შრომებმა უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულეს საბჭოთა მათემატიკისა და მექანიკის განვითარებაში.

თქვენ გეკუთვნით ფუძემდებლური გამოკვლევები ელიფსური ტიპის დიფერენციალურ განტოლებათა სასაზღვრო ამოცანებში. თქვენს მიერ დამუშავებული მეთოდი სასაზღვრო ამოცანების რედუქციისა სინგულარულ ინტეგრალურ განტოლებებზე წარმოადგენს კვლევის ერთ-ერთ ძირითად იარაღს მათემატიკის ამ უბანში. თქვენს მიერ შექმნილმა განზოგადებულ ანალიზურ ფუნქციათა თეორიამ შესაძლებელი გახადა ღრმად შეგვესწავლა ელიფსური სისტემების ამოხსნა სიბრტყეზე კოეფიციენტების სიგლუვეზე მინიმალური დაშვებების შემთხვევაში. განზოგადებულ ანალიზურ ფუნქციათა თეორიამ გააფართოვა კომპლექსური ცვლადის ფუნქციათა თეორიის გამოყენების არე გეომეტრიასა და მექანიკაში.

თქვენ გამოიკვლიეთ ორი დამოუკიდებელი ცვლადის შემთხვევაში ელიფსური სისტემებისათვის ზოგადი სასაზღვრო ამოცანის ინდექსის საკითხი და მონახეთ ფორმულა ასეთ ამოცანათა ინდექსისათვის. ელიფსური სისტემების ინდექსთა თეორია უკანასკნელ წლებში ინტენსიურად განვითარდა რიგ საბჭოთა და უცხოელ მათემატიკოსთა შრომებში.

თქვენს მიერ შექმნილმა ანალიზურკოეფიციენტებიანი ელიფსური ტიპის განტოლებათა ამოხსნის ახალმა მეთოდებმა შესაძლებლობა მოგვცა ეფექტურად შეგვესწავლა მათემატიკური ფიზიკის განტოლებათა რიგი კლასების ამოხსნა.

თქვენმა ბრწყინვალე შრომებმა სინგულარულ ინტეგრალურ განტოლებათა თეორიაში, რომლებიც წარმოადგენენ ქართული მათემატიკური სკოლის ტრადიციების გაგრძელებას ამ დარგში, მსოფლიო აღიარება პოვეს.

თქვენ ხართ მეცნიერების გამოჩენილი ორგანიზატორი. წლების განმავლობაში თქვენ ხართ სსრკ მეცნიერებათა აკადემიის მათემატიკის განყოფილების ბიუროს აქტიური წევრი. თქვენ დიდ მუშაობას ეწევით, როგორც საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წევრი. ხართ რა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, თქვენ დიდ ძალას ახმართ მეცნიერული კადრების მომზადებასა და ახალგაზრდა თაობის აღზრდას...

მ. კელდიში,

სსრკ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი.

ზ. კონსტანტინოვი,

სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი,

ი. კეივე,

სსრკ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის მთავარი სწავლული მდივანი, აკადემიკოსი,

ნ. ბოგოლიუბოვი,

სსრკ მეცნიერებათა აკადემიის მათემატიკის განყოფილების აკადემიკოსი-მდივანი, აკადემიკოსი.

საბჭოთა იუბილარი

როცა თვალს გადაავლებთ ქართული მათემატიკური სკოლის მიღწევებს, გული სიამაყით გეევსებათ იმ მეტად მნიშვნელოვანი წვლილის გამო, რაც ქართველმა მათემატიკოსებმა შეიტანეს მათემატიკური მეცნიერებათა საგანძურში — პირველ რიგში დრეკადობის თეორიაში და დიფერენციალურ და ინტეგრალურ განტოლებათა თეორიის ფუნდამენტალურ პრობლემებში.

ამაში დიდი დამსახურება მიუძღვის გამოჩენილ საბჭოთა მათემატიკოსებს ნიკოლოზ მუსხელიშვილს, ილია ვეკუას, ვიქტორ კუპრაძეს და მათ მრავალრიცხოვან მოწაფეებს.

მომდინარე წელს ილია ვეკუას დაბადებიდან სამოცი წელი შეუსრულდა.

აღვნიშნავთ რამდენიმე ღირსშესანიშნავ თარიღს ილია ვეკუას ცხოვრებიდან:

1937 წელს იცავს საკანდიდატო დისერტაციას თემაზე: „დრეკად რხევათა გავრცელება უსასრულო ფენაში“, ხოლო ორი წლის შემდეგ — სადოქტორო დისერტაციას თემაზე: „ელიფსურ განტოლებათა კომპლექსური წარმოდგენა და მისი გამოყენება სასაზღვრო ამოცანებში“.

1946 წელს ირჩევენ საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრად.

1958 წელს აირჩიეს საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრად.

1963 წელს მიანიჭეს ლენინური პრემია მონოგრაფიისათვის „განზოგადებული ანალიზური ფუნქციები“.

1959-1964 წწ. ნოვოსიბირსკის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი რექტორია.

1964 წ. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტია, ხოლო **1966** წლიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორია.

მეტად მნიშვნელოვანია ილია ვეკუას გამოკვლევანი სინგულარულ ინტეგრალურ განტოლებათა თეორიაში, ზოგადი სახის ანალიზურ კოეფიციენტიანი ელიფსური ტიპის დიფერენციალურ განტოლებათა სასაზღვრო ამოცანების თეორიაში და განზოგადებულ ანალიზურ ფუნქციათა თეორიაში. ამ გამოკვლევებს მრავალრიცხოვანი საინტერესო და მნიშვნელოვანი გამოყენება აქვთ გეომეტრიაში, დრეკად გარსთა თეორიაში და რხევათა თეორიაში.

ილია ვეკუას მთავარი მეცნიერული დამსახურება იმაში მდგომარეობს, რომ მან ორი ცვლადის ზოგადი სახის ანალიზურ კოეფიციენტებიანი ელიფსური ტიპის წრფივ დიფერენციალურ განტოლებათა და საკმარისად ზოგადი სახის არაანალიზურ კოეფიციენტებიანი ელიფსური ტიპის დიფერენციალურ განტოლებათა სისტემების სასაზღვრო ამოცანების ამოხსნის მეთოდები, რომლებიც მანამდე მხოლოდ ზოგიერთ კერძო შემთხვევაში იყო გამოყენებული, შესანიშნავად განავითარა და მათ მისცა მეტად სრულყოფილი სახე.

ამისათვის მას დასჭირდა ასეთივე სრულყოფილი სახე მიეცა ე. წ. სინგულარულ ინტეგრალურ განტოლებათა თეორიისათვის ჩაკეტილი კონტურების შემთხვევაში. მან ესეც წარმატებით შეასრულა და თავის გამოკვლევებით სერიოზული ბიძგი მისცა და ხელი შეუწყო როგორც საბჭოთა, ისე უცხოელი მათემატიკოსების მთელ რიგ მნიშვნელოვან აღმოჩენებს ხსენებული მიმართულებით.

ილია ვეკუას ეს შედეგები სრულიად საკმარისია იმისათვის, რომ მათი ავტორი ჩაითვალოს თანამედროვე მათემატიკის ხსენებული დარგების ერთ-ერთ დიდ სპეციალისტად. მაგრამ, როგორც ჭეშმარიტი მეცნიერი, ის არ დაკმაყოფილდა მიღებული შედეგებით და მისთვის ჩვეული დიდი გატაცებით შეუდგა თეორიული და გამოყენებითი მათემატიკის იმ პრობლემების გამოკვლევას, რომლებსაც კავშირი აქვთ მის ზემოთ ხსენებულ ძირითად შედეგებთან.

უეჭველად ქების ღირსია სრული ოვალოიდის სიხისტის ილია ვეკუას მიერ აღმოჩენილი ახლებური ლამაზი დამტკიცება.

ცნობილია, რომ დრეკად გარსთა კლასიკურ თეორიას ის არსებითი ნაკლი აქვს, რომ სასაზღვრო ამოცანებში ძირითადი დიფერენციალური განტოლებანი არაა თავსებადი სასაზღვრო პირობებთან. ილია ვეკუა იძლევა დრეკად გარსთა თეორიის ახალ ვარიანტს, რომელსაც არა აქვს ეს ნაკლი და, ამას გარდა, მის მიერ მიღებული განტოლებანი თვითანთი აგებულებით ახლოა დრეკადობის ბრტყელი თეორიის ცნობილ განტოლებებთან. ეს უკანასკნელი გარემოება კი საშუალებას იძლევა დრეკად გარსთა თეორიის სასაზღვრო ამოცანები ისევე სრულყოფილად და ეფექტურად იქნეს შესწავლილი, როგორც დრეკადობის ბრტყელი თეორიის ანალოგიური ამოცანები.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ილია ვეკუას დიდი დამსახურება პედაგოგიური მოღვაწეობის ასპარეზზე, სადა ენა, დახვეწილი აზრი და მაღალი მეცნიერული დონე მისი ლექციებისა უყოველთვის მომხიბლავ შთაბეჭდილებას ტოვებს მსმენელზე. ილია ვეკუას მრავალი მოწაფე და მიმდევარი ჰყავს. როგორც საბჭოთა კავშირში, აგრეთვე უცხოეთში. ზოგიერთი მათგანი უკვე საკმაოდ ხანდაზმულია და ნაყოფიერად განაგრძობს თავისი მასწავლებლის სახელოვან ტრადიციას.

პროფ. **ლ. მაღნარაძე.**



სურათზე: მარცხნიდან — ცნობილი ამერიკელი მათემატიკოსი, პროფესორი რ. კურანტი, ი. ვეკუა და აკადემიკოსი ნ. მუსხელიშვილი.

ნიკოლოზ ბარათაშვილის საიუბილეოდ

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება 1968 წლის სექტემბერში საზეიმო ვითარებაში აღინიშნოს დიდი ქართველი პოეტისა და მოაზროვნის ნიკოლოზ ბარათაშვილის დაბადების 150 წლისთავი.

შეიქმნა მთავრობის რესპუბლიკური საიუბილეო კომიტეტი, რომლის შემადგენლობაში არიან ქართული კულტურის ცნობილი მოღვაწეები. საიუბილეო კომიტეტის თავმჯდომარეა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი დ. სტურუა, თავმჯდომარის მოადგილეები — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. სირაძე და საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პირველი მდივანი გრ. აბაშიძე.



ნიკოლოზ ბარათაშვილი. მხატვარი ლ. გუდიაშვილი.

მ ე რ ა ნ ი

მირბის, მიმაფრენს უგზო-უკვლოდ ჩემი მერანი,
უკან მომჩხავის თვალ-ბედითი შავი ყორანი!
გასწი, მერანო, შენს ჭენებას არ აქვს სამძღვარი.
და ნიავს მიეც ფიქრი ჩემი, შავად მღელვარი!

გაკვეთე ქარი, გააპე წყალი, გარდაიარე კლდენი და ღრენი,
გასწი, გაკურცხლე და შემიმოკლე მოუთმენელსა სავალნი დღენი!
ნუ შეეფარვი, ჩემო მფრინავო, ნუცა სიცხესა, ნუცა ავდარსა,
ნუ შემიბრალებ დაქანცულობით თავგანწირულსა შენსა მხედარსა!

რაა, მოვშორდე ჩემსა მამულსა, მოვაკლდე სწორთა და მეგობარსა;
ნუღა ვიხილავ ჩემთა მშობელთა და ჩემსა სატრფოს,
ტკბილმოუბარსა;
საც დამიღამდეს, იქ გამითენდეს, იქ იყოს ჩემი მიწა სამშობლო,
მხოლოდ ვარსკვლავთა, თანამავალთა, ვამცნო გულისა მე
საიდუმლო!

კვნესა გულისა, ტრფობის ნაშთი, მივცე ზღვის ღელვას,
და შენს მშვენიერს, აღტაცებულს, გიჟურსა ლტოლვას!
გასწი, მერანო, შენს ჭენებას არ აქვს სამძღვარი,
და ნიავს მიეც ფიქრი ჩემი, შავად მღელვარი!

ნუ დავიმარხო ჩემსა მამულში, ჩემთა წინაპართ საფლავებს შორის;
ნუ დამიტიროს სატრფომ გულისა, ნუღა დამეცეს ცრემლი
მწუხარის;
შავი ყორანი გამითხრის საფლავს მდელოთა შორის ტიალის
მინდვრის,
და ქარიშხალი ძვალთა შთენილთა ზარით, ღრიალით, მიწას
მამაყრის!

სატრფოს ცრემლის წილ მკვდარსა ოხერსა დამეცემიან ციურნი
ცვარნი,
ჩემთა ნათესავთ გლოვისა ნაცვლად მივალალებენ სვავნი მყივარნი!
გასწი, გაფრინდი, ჩემო მერანო, გარდამატარე ბედის სამძღვარი,
თუ აქამომდე არ ემონა მას, არც აწ ემონოს შენი მხედარი!

დაე მოვკვდე მე უპატრონოდ მისგან ოხერი!
ვერ შემაშინოს მისმა ბასრმა მოსისხლე მტერი!
გასწი, მერანო, შენს ჭენებას არ აქვს სამძღვარი;
და ნიავს მიეც ფიქრი ჩემი, შავად მღელვარი!

ჭ ო რ ბ ი ს ა რ ა ბ ე ვ ი

ნაწყვეტი პოემიდან „ბედი ქართლისა“

მორბის არაგვი არაგვიანი,
თან მოსძახიან მთანი ტყიანნი,
და შეუპოვრად მოუთამაშებს
გარემო თვისსა ატეხილს ჭალებს.
ჰოი, ნაპირნო, არაგვის პირნო,
მობიბინენო, შვებით მომზირნო,
ქართველსა გულმან როგორ გაუძლოს,
ღმერთს შვენება თქვენი იხილოს,
რომ თქვენს ბუჩქებში არა ჩამოხდეს,
რაც უნდა გზასაც ეშურებოდეს,
როგორ იქნება არ განისვენოს?
სამჯერ ხომ მაინც გადაჰკრავს ღვინოს,
ცხენს მოაძოვებს, თვალს მოატყუებს,
გამოიღვიძებს — შუბლს განიგრილებს,
ერთს ქართველურად კიდეც შესძახებს,
არაგვო, მაგ შენს ამწვანებულ მთებს,
და მერმე თუნდაც დაუგვიანდეს,
იგი იმისთვის აღარ დაღონდეს!

ფ ი ქ რ ნ ი მ ტ კ ვ რ ი ს პ ი რ ა ს

წარვედ წყალის პირს სევდიანი ფიქრთ გასართველად,
აქ ვეძიებდი ნაცნობს ადგილს განსასვენებლად;
აქ ლბილს მდელოზედ სანუგეშოდ ვინამე ცრემლით,
აქა ყოველი არემარე იყო მოწყენით:
ნელად მოღელავს მოდუდუნე მტკვარი ანკარა
და მის ზვიროებში კრთის ლაჟვარდი ცისა კამარა.
იდაყვ დაყრდნობით ყურს უგდებ მე მისსა ჩხრიალსა
და თვალნი ჰრბიან შორად, შორად, ცის დასავალსა!
ვინ იცის, მტკვარო, რას ბუტბუტებ, ვისთვის რას იტყვი?
მრავალ დროების მოწამე ხარ, მაგრამ ხარ უტყვი!...
არ ვიცი, ამ დროს ჩემს წინაშე ჩვენი ცხოვრება
რად იყო ფუჭი და მხოლოდა ამაოება?...
მაინც რა არის ჩვენი ყოფა-წუთისოფელი,
თუ არა ოდენ საწყაული აღუვსებელი?
ვინ არის იგი, ვის თვის გული ერთხელ აღევსოს
და რაც მიეღოს ერთხელ ნატვრით, ისი ეკმაროს?

თვითონ მეფენიც უძლეველნი, რომელთ უმაღლეს
არც ვინღა არის, და წინაშე არც ვინ აღუდგეს,
რომელთ ხელთ ეპყრასთ უმაღლესი სოფლის დიდება,
შფოთვენ და ღრტვინვენ და იტყვიან: როდის იქნება,
ის სამეფოცა ჩვენი იყოს?, და აღიძვრიან
იმავ მიწისთვის, რაც დღეს თუ ხვალ თვითვე არიან!...

თუნდ კეთილ მეფე როდის არის მოსვენებული?
მისი სიცოცხლე: ზრუნვა, შრომა და ცდა ქებული,
მისი ფიქრია, თუ ვით უკეთ მან უპატრონოს
თავისს მამულსა, თვისთა შვილთა, რომ შემდგომსა დროს
არ მისცეს წყევით თვის სახელი შთამამავლობას!...
მაგრამ თუ ერთხელ უნდა სოფელს ბოლო მოეღოს,
მაშინ ვიღამ სთქვას მათი საქმე, ვინ სადღა იყოს?...

მაგრამ რადგანაც კაცნი გვქვიან — შვილნი სოფლისა.
უნდა კიდეცა მივდიოთ მას, გვესმას მშობლისა.
არც კაცი ვგრგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს,
იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნვოს!

დაფერფლილი დიდება



როდესაც პ. კაკაბაძის მზე ჩაესვენა, პეტერბურგში კვლავ გამოჩნდა ახალი ვარსკვლავი, ქართული კულტურის გულშემატკივართა იმედი და მანუგეშებელი. ამბობენ, 20-იან წლებში ქართულ ვოკალურ კულტურას ერთი სამაყო და საყვარელი მომღერალი მოევლინა — ვანო სარაჯიშვილი და ისიც ზმანებასავით გაქრაო. მაგრამ ჩვენი წარმატაცი წალკოტი არასოდეს არ დარჩენილა ერთი ბულბულის ამარა. იყო მეორე მგალობელიც, სახელგანთქმული მომღერალი მიხეილ ნანობაშვილი, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ თუ პირველი ძირითადად საქართველოს პატარა, მშვენიერ ბაღნარში გალობდა, მეორე თავისი ქვეყნისაკენ ყელმოღერილი, უმთავრესად სხვის ბუდეს ამშვენებდა და ნაღვლიანად ჰიკჭიკებდა. ვანოს სიმღერა ატკბობდა და ამშვენებდა მშობლიურ სცენას, მიხეილისა კი — უმეტესად უცხოეთისას. პირველი ბედნიერი იყო თანამემამულეებში, მეორე უბედური — უცხოელთა შორის.

რა ექნა მსოფლიოში მიშელ დარიალად ცნობილ იშვიათ ტენორს? რევოლუციამდელი საქართველოს სოციალურ-ეკონომიური პირობები, თვითმპყრობელობის ეროვნული პოლიტიკით დახშული საზოგადო ასპარეზი, მშობლიური სცენის სივიწროვე აიძულებდა ბედის საძებრად უცხოეთში ეხეტიალა.

მიშელ დარიალმა მრავალგზის სცადა მშობლიურ სცენაზე დამკვიდრება, რამდენჯერმე ჩამოვიდა თბილისში, რომ შესაფერი სამუშაო გამოენახა, ფეხი მოეკიდა, მოწყობილიყო რომელსამე თეატრის დასში, მერე პარიზიდან ცოლ-შვილიც ჩამოეყვანა და სამუდამოდ სამშობლოს სამსახურში ჩამდგარიყო. უკანასკნელად 1920 წელს, როდესაც სასცენო მოღვაწეობის გარდა საზოგადოებრივ საქმიანობასაც ეწეოდა და მომღერალთა კავშირის თავმჯდომარე იყო, ერთხელ კიდევ სცადა მშობლიურ თბილისში დამკვიდრება. „მაგრამ, როგორც ძველი თეატრალი ს. წერეთელი იგონებს, თვითონ მას ხელს არ უწყობდნენ. ინტრიგებმა და მაბეზღარებმა აიძულეს აქ მოღვაწეობისათვის თავი დაენებებინა და საფრანგეთში დაბრუნებულიყო. ნაწყენი და გულგატეხილი იჯდა გემზე და ეთხოვებოდა თავის სამშობლოს“.

ნანობაშვილები ჭიზიყის სოფ. ვაქრიდან არიან. მიხეილი თბილისში უნდა იყოს დაბადებული 1878 წელს. მამამისი იროდიონი, ამერკავკასიის რკინიგზის მღვდელი, ჩინებული ხმითაც იყო ცნობილი და ახალგაზრდობისას ეგზარხოსის გუნდში გალობდა. მეორე გიმნაზიის მოსწავლეთა შორის მიშიკო განსაკუთრებით გამოირჩეოდა სიმღერისა და გალობის ნიჭით.

გიმნაზიის დამთავრების შემდეგ სწავლის განსაგრძობად პეტერბურგს გაემგზავრა და მშობლების სურვილის აღსასრულებლად უნივერსიტეტში შევიდა იურიდიული განათლების მისაღებად. მაგრამ მუსიკის ტრფიალმა, ბუნების ძალამ თავისი გაიტანა და ჰაბუკმა იურისტმა ოცნების განსახორციელებლად 1896 წელს კონსერვატორიას მიაშურა. ბედის მაძიებელს პროფესორებმა მოუსმინეს, მოუწონეს ხმა, ტემბრი, დიაპაზონი და თავისუფალ მსმენელად დაუშვეს გაკვეთილებზე. მუსიკამ ისე გაიტაცა, რომ უნივერსიტეტი მესამე კურსიდან მიატოვა და სომღერის შესწავლას შეუდგა პროფ. გაბელთან.

1898 წელს პეტერბურგის საიმპერატორო თეატრის დირექციამ ახალგაზრდა მომღერლების კონკურსი გამოაცხადა. დანიშნულ დღეს, 26 მაისს, გამოცდაზე 15 ყმაწვილი, მათ შორის კონსერვატორიის მსმენელი ნანობაშვილიც გამოცხადდა. კონკურსის შემდეგ „პეტერბურგსკაია გაზეტა“ წერდა: „დიდი ყურადღების ღირსია ტენორი ნანობაშვილი. იშვიათი და ნამდვილი დი-ფორჩას ტენორის პატრონია. მართალია, მან ჯერ ნაკლებად იცის სიმღერა, მაგრამ სულ 20 წლის ახალგაზრდაა და უმჯობესიც კი იქნება, რომ ერთი წელიწადი მოიცადოს და სიმღერას მოანდომოს. ხოლო ხმა თანაზომიერი, ძლიერი და მშვენიერი აქვს. ძალიან სამწუხარო იქნება, თუ ეს მშვენიერი ხმა არამცოდნე კაცის ხელში ჩავარდება და დაიღუპება“.

გაბელთან მეცადინეობის შემდეგ მიხეილ ნანობაშვილი კერძო გაკვეთილებს ისმენდა ვოკალური ხელოვნების უბადლო ვირტუოზთან, განთქმული იტალიელი ბარიტონის ევგენი ჯირალდონის დედა ფერნი ჯირალდონისთან, რომელიც „სიმღერის ღმერთად“ იყო აღიარებული. 1900 წელს მიხეილ ნასიძე, „ივერიაში“ აღნიშნავდა რა ქართველი ახალგაზრდობის მუსიკისა და გალობისადმი მიდრეკილებას, მკითხველს ცნობილებით აუწყებდა მ. ი. ნანობაშვილის წარმატებას. ამასთანავე მუსიკის მცოდნე მ. მ. ივანოვი იტყობინებოდა: „ჭ-ნმა ფერნი ჯირალდონიმ, ჩვენი კონსერვატორიის სიმღერის პროფესორმა, გუშინ საკრედიტო დარბაზში გამართა თავისი კერძო კურსების მგალობელ მოსწავლეთა გამოცდა. ამ გამოცდამ ფრიად კარგი შთაბეჭდილება დატოვა.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ კარგი სკოლის ყველაზე შესანიშნავი გავლენა ატყვია ახალგაზრდა ტენორს მ. ნანობაშვილს, რომელმაც გაუსწრო ყველა თავის ახალგაზრდა კოლეგას. ბ-ნ ნანობაშვილს ჯერ გალობის კურსი არ დაუმთავრებია, მაგრამ მისი ხმა და, ვფიქრობთ, მასთან ბუნებრივი ნიჭიერებაც ახლავე თავდებია იმისა, რომ იგი ისეთი ტენორი დადგება, რომელიც დაამშვენებს ჩვენს საოპერო სცენებს. მისი ხმა ლამაზი, წკრიალაა, ამასთან ნაზიც. მაღალ ფარდამდე ხმას ისე თავისუფლად სწევს, თითქოს ხუმრობსო, რაც მოულოდნელი და განსაცვიფრებელია ისეთი მომღერლისაგან, რომელსაც ჯერ არ დაუმთავრებია სწავლა. აი ვინ იპყრობს ჩვენი საოპერო სცენების დირექტორების ყურადღებას“.

იმავე წლის ზაფხულში მ. ნანობაშვილი „მომღერალთა ქალღმერთმა“ თავის სამშობლოში წაიყვანა. მილანში თავის ვაჟიშვილს, აგრეთვე ცნობილ პედაგოგებს წარუდგინა და მეცადინეობა გააგრძელებინა საუკეთესო მუსიკოსების ხელმძღვანელობით. ბოლოს, ბრწყინვალე დებიუტის შემდეგ, რამდენიმე ხანს მილანის კერძო თეატრში მღეროდა წარმატებით. 1903 წელს მიხეილი უკვე პარიზში იყო, ხელოვნების კერებს ეცნობოდა და თან პირად საქმეებს აგვარებდა.

1906 წელს ნანობაშვილი პარიზში გაეცნო და თავისი ბედი სამუდამოდ დაუკავშირა ფორტეპიანოს დამკვრელ უანეტა კენის, რომელთანაც საგასტროლოდ მოგზაურობდა პროვინციებში და კონცერტებს მართავდა.

ფონტენებლოში მეუღლესთან ერთად ყოფნის შემდეგ 1907 წელს მიშელ დარიალი 2 თვით საგასტროლოდ მიიწვიეს მონტე-კარლოში, სადაც პირველივე გამოსვლით მიიქცია ყურადღება და მოწონება დაიმსახურა. ღია ბარათით თბილისში იწერებოდა „ხუთჯერ გიმღერე კიდეც. მალე აქედან სხვაგან მივ-

მტკიცდება კულტურული კავშირი

(დასასრული).

გვარი სინთეზი, რომ ჩვენგან ნათქვამი ყოველი სიტყვა თვითეული ქართველის გულამდე მიდიოდეს, რომ ისინი ჩვენი სიხარულით ხარობდნენ და ჩვენი სატკივარი სტკიოდეთ.

◆

ეფრემ II,

სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი.



საზოგადოების პრეზიდიუმმა ბევრი კარგი საქმე გააკეთა, მაგრამ მისი მუშაობა ცალმხრივია. ჩვენ კვლავაც უნდა გავგზავნოთ წიგნები და ჟურნალ-გაზეთები საზღვარგარეთ მცხოვრებ თანამემამულეებთან, მაგრამ იქიდანაც უნდა ვიღებდეთ რაღაც სამაგიეროს. აი რა მაქვს მე აზრად, როცა ამას ვლაპარაკობ: ომის დამთავრების შემდეგ მთავრობამ საფრანგეთიდან ჩამოიტანა მთელი ძვირფასეულობა, რაც მენშევიკებმა საზღვარგარეთ გაზიდეს. ახლა ის უძველესი ხატები და ოქრომჭედლობის სხვა ძვირფასი ნიმუშები სათანადოდ არის დაცული სახელმწიფო მუზეუმში და მთელი ჩვენი ხალხის საკუთრებას წარმოადგენს.

საქართველოს უნდა დაუბრუნდეს აგრეთვე ძველი ხელნაწერები და იშვიათი საბუთები, რაც საზღვარგარეთის მონასტრებში, სახელმწიფო და პირად არქივებშია გაბნეული. უნდა ვეცადოთ აგრეთვე მივიღოთ და ქართველი ხალხის საკუთრებაც ვაქციოთ საზღვარგარეთ მცხოვრები ქართველი მხატვრების, სკულპტორების, კომპოზიტორებისა და ხელოვნების სხვა მუშაკთა მიერ შექმნილი ნაწარმოებები, როგორც არის ნეტარსახსენებელი ერეკლე ჯაბადარის მუსიკალური შემოქმედება, აკაკი წერეთლის მიერ ცოლ-შვილისადმი მიწერილი წერილები, გ. ჯაფარიძის მიერ ჩამოტანილი ფელიქს ვარლამიშვილის, ვერა ფალავას სურათთა ასლები, ნიკო ფიროსმანაშვილის პორტრეტი და სხვ.



ფ. ხალვაში,

მწერალთა კავშირის აჭარის განყოფილების მდივანი, პოეტი.

დღეს საზღვარგარეთ ათეულ ათასობით ქართველი ცხოვრობს. სამშობლოსთან მათი კავშირის განმტკიცება და დაახლოება ყველა ჩვენგანის საპატიო და სასურველ მოვალეობად მიგვაჩნია. გაზეთისა და რადიოს საშუალებით სამშობლოს ახალი ამბების გადაცემა კარგი საქმეა, რადგან უცხოეთში მცხოვრებ ბევრ თანამემამულეს სრულიად არასწორი წარმოდგენა აქვს ჩვენს დღევანდელ ყოფა-ცხოვრებაზე. აი მაგალითიც. ამას წინათ მივიღე წერილი საზღვარგარეთ მცხოვრები ერთი ჩემი ახლო ნათესავისაგან. მწერდა: დიდი კაცი გამხდარხარ, წერა-კითხვა გისწავლიაო; ნუტავ შენს გარდა სხვაც თუ არის წერა-კითხვის მცოდნე ჩვენს სოფელშიო.

და აი ასჯერ რომ იყოს საჭირო, ასჯერვე უნდა განვაცხადოთ ის ჭეშმარიტება, რომ ჩვენში არა მარტო ყველამ იცის წერა-კითხვა, არამედ საქართველოს პირველი ადგილიც კი უჭირავს მთელ მსოფლიოში უმაღლესი განათლების მქონე ადამიანთა პროცენტული რაოდენობის მხრივ.

მაგრამ ძნელი და გულსატკენი სწორედ ის არის, რომ თვით უცხოეთში მცხოვრებ უამრავ თანამემამულეთა შორის ძალიან ბევრია უცოდინარი წერა-კითხვისა. ცხადია, ჩვენ მათ უცხო ენას ვერ შევასწავლით. ჩვენ მათ ქართული უნდა ვასწავლოთ. უნდა ვასწავლოთ გაზეთისა და რადიოს საშუალებით. ამ პატრიოტულ საქმეში უნდა ჩაებან უცხოეთში მცხოვრები ის თანამემამულენიც, რომლებმაც ქართული ენა იციან.

დივარ ამ თვის გასულს. შალიაპინი მღერის ახლა აქ. რა დიდი არტისტია. საგანგებო არტისტები არიან აქ საზოგადოდ სუყველანი".

შემდეგ ერთი თვით სანტ-ეტიენს ესტუმრა და აქაც დაიმახსოვრა მჭუხარე ოვაციები. 1908 და მის მომდევნო წელს მიშელი პარიზშია და „გრანდ ოპერაში" მღერის. 1909 წლის მაისში ესტუმრა ქ. ლავალს, სადაც „ფავორიტ ქალში" შესანიშნავად იმღერა და მეორე დამესვე დაბრუნდა პარიზში, რადგან ორშაბათს „თავად იგორის" გენერალური რეპეტიცია იყო დანიშნული. თანამემამულეებმა იხარგებლეს მიშელის პარიზში ყოფნით და მიიწვიეს ქართულ სადამოზე, სადაც ქართულადაც იმღერა და აღტაცებაში მოიყვანა მსმენელნი.

1910 წლის მარტსა და აპრილში არტისტულ ტურნეში იღებდა მონაწილეობას ბალკანეთის ზოგიერთ ქალაქსა და სტამბოლში. იმავე წელს დარიალი მეუღლითურთ ორი თვით იყო საგასტროლოდ ალჟირში. წარმატება აქაც ჰქონდათ, მაგრამ მატერიალურად მაინც უჭირდათ, სულ სამუშაოს ეძებდნენ. საქართველოშიც ცდილობდა რამე ადგილის შოვნას. 1910 წლის 12 ნოემბრით დათარიღებულ ბარათში იწერებოდა: „ძვირფასო დედიკო, დღეს ალჟირიდან პარიზში მივდივართ. მოიწერე, თუ მანდ ისევ ფალიაშვილია დირიჟორად და თუ რამე მოხერხდება, რომ წამოვიდე ერთი თვის ან სამი კვირის მერე".

ბერლინში გასტროლების შემდეგ პეტერბურგს ეწვია, კონცერტები გამართა და ფიგნერთან შესვედრა და კონტრაქტის დადება ეწადა, მაგრამ ფიგნერის მოსკოვს გამგზავრების გამო ვერ მოახერხა და საზაფხულოდ კისლოვოდსკს მიაშურა სამღერლად. თბილისიდანაც უნუგეშო ამბავი მიიღო. ფალიაშვილი სწერდა: ადგილები სულ დაჭერილი გვაქვს და ვერას მოგცემთო. 1911 წელს საქართველოს მაინც ეწვია და კონცერტები გამართა. მერე მონაწილეობა მიიღო სახაზინო თეატრის წარმოდგენებში: იმღერა რაულის პარტია დ. მეიერბერის „ჰუგენოტებში" და ფაუსტისა ჰუნოს „ფაუსტში". დარიალის გამოსვლებმა ქართულ საზოგადოებაში დიდი ინტერესი გამოიწვია, ხალხი აღტაცებით და მჭუხარე ტაშით ხვდებოდა.

შემდეგ ეწვია ბათუმს და ბაქოს, სადაც საქველმოქმედო საღამოებში მონაწილეობდა. ქუთაისის „კლუბში" 6 თებერვალს გამართული დიდი მუსიკალურ-სალიტერატურო საღამო-კონცერტი დაამშვენა ეშხიანი სიმღერებით და მხცოვან აკაკის, ახალგაზრდა სანდრო შანშიაშვილს, კოტე მაყაშვილს მხარი აუბა.

გაზეთი „ზაკავკასკაია რეჩი" ლაკონიურად იუწყებოდა: „ჩვენი თანამემამულე უკვე გამოვიდა სახაზინო თეატრში რაულის და ფაუსტის როლში და თბილისელ მაყურებელთა სიმპათიების მოპოვება მოასწრო. არტისტს მოუწყეს მჭუხარე ოვაციები". „თემი" კი იტყობინებოდა: „ნიჭიერი მომღერლის სახელი აქვს დამსახურებული მას პარიზში, ბუქარესტში, სტამბოლში, პეტერბურგში, მონტე-კარლოში, ნიცაში, სადაც ხშირად უმღერია. სიმპათიური მომღერალი გაზაფხულზე მიემგზავრება ხელახლა პარიზში, სადაც მაისსა და თიბათვეში მიიღებს მონაწილეობას რუსულ ოპერებში, რომლებიც წარმოდგენილი იქნება ფრანგულ ენაზე".

9 თებერვალს გამოსათხოვარი კონცერტი გამართა, თავისიანებს გამოემშვიდობა და სამშობლო დროებით დატოვა.

პარიზის „გრანდ-ოპერის" პრემიერის ქება-დიდება მალე ამერიკასაც მისწვდა, სადაც იგი 1911-1912 წლების სეზონზე მიიწვიეს. ნანობაშვილი ჯერ კიდევ ქალაქ მონრეალში გამოდიოდა „ფაუსტში", მერე კი — ტორონტოში.

1912 წლის მარტში ამერიკიდან დაბრუნებული მიშელი პარიზშია და რუსეთში გადმოსვლას ცდილობს. თავის ძმას ირაკლის მოსკოვში ატყობინებდა: როგორც წინათაც მოგწერე, მინდა რუსეთში გადმოვსახლდე. გამომგზავრა კიდეც. ჯერ თბილისში ჩამოვიდა, იმღერა: „კარმენში", „ვერტერში", „ჰუგენოტებში", ხოლო შემდეგ მონაწილეობდა „სამუსიკო წრის" კონცერტში.

ქართველმა საზოგადოებამ თანამემამულე დიდი ენთუზიაზმით და გულითადად მიიღო, მაგრამ თავისიანის, როგორც არტისტისა და მომღერლის მიმართ რაიმე შეწუნარებაზე ლაპარაკიც კი არ შეიძლებოდა. მუსიკისმცოდნე ვექტორ დანილოვი წერდა: „ნანობაშვილს იმდენად ბევრი კარგი არტისტული მონაცემები აქვს, რომ მას წარმატება უნდა ჰქონდეს არა მხოლოდ თავის, არამედ სხვა ყოველ ხალხთან. უწინარეს ყოვლისა, იგი კარგი მომღერალია, მახვილი სმენის, ლაზათიანი, შესწევს უნარი შესრულებას მისცეს გემოვნება და გაათბოს გრძნობით. ხასიამოვნო, ოდნავ ლითონისებური ტემბრით მომღერალი გამოსცემს სუფთა და ნათელ ხმას ოდნავ ცხვირისმიერად, პარიზელი არტისტისათვის ეს ჩვეულებრივია. ჩაითვალოს დადებით და არა უარყოფით მოვლენად. სცენურ თამაშში იგრძნობა გატაცება, ტემპერამენტი, როლის გააზრებული წარმოსახვა. როგორც კარგმა არტისტმა განსაკუთრებით გამოიჩინა თავი უკანასკნელ მოქმედებაში, როდესაც სიყვარულით დამთვრალ, ეჭვიანობით გონებადაკარგულ დონ-ხოზეს გამოხატავდა დაბნეული მზერით და შურისძიების მხეცური წუურვილით ანთებულს..."

თბილისში გასტროლების დამთავრების შემდეგ მოსკოვს ეწვია, სადაც, გაზეთ „რუსკოე სლოვოს" სიტყვით, ცნობილ ზიმინის თეატრში მომღერალთა კონკურსში განსაკუთრებული უურადღება მიიპყრო და დასში დატოვეს. 1914 წლის თებერვალში კვლავ ნიცაში მიიწვიეს, სადაც „უეტე პრომენად ლა პლაჟის" სცენაზე ზედიზედ ხუთჯერ იმღერა და ისეთი მოწონება ხვდა, რომ ანგაჟემენტი ერთი თვით გაუგრძელეს. ნიცადან ლაკონიურად იწერებოდა: საყვარელო დედილო, აი ეს რამდენიმე დღე არის, რაც აქა ვარ. დღეს პირველად აფრიკანკა ვიმღერე და ძალიან დიდი წარმატება მქონდაო.

1914 წლის ზაფხულში ჩვენი თანამემამულე პირინეის მთებში ქ. ლუშონში მიიპატიჟეს საგასტროლოდ, სადაც ერთ თვეს დაჰყო, ზამთრის სეზონისათვის— კი ამერიკის ქალაქ ჰინსბურგში ჩასვლა სთხოვეს, ხოლო მომდევნო წელს ისევ ნიცამ დაიბრუნა.

ა. ამირანიძე.

(დასასრული შემდეგ ნომერში).





სურათებზე: მე-6 გვერდზე — მ. დარიალი ახალგაზრდობაში; მე-7 გვერდზე — მ. დარიალის მეუღლე ქანიტა კენი; მ. დარიალი ილიაზარის როლში (ოპერა „რახილი").

აფეთქება... ლაბორატორიაში

თბილისში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ექსპერიმენტული პოლიგონზე დამთავრდა ამიერკავკასიაში პირველი და ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი უდიდესი ლაბორატორიის მშენებლობა, რომელიც აღჭურვილია ასაფეთქებელი კამერით. ამ კამერაში რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის გ. ა. წულუკიძის სახელობის სამთო მექანიკის, საბადოთა დამუშავებისა და აფეთქების ფიზიკის ინსტიტუტის საბურღავ-ასაფეთქებელ სამუშაოთა ლაბორატორიის თანამშრომლები შეისწავლიან აფეთქების, ასაფეთქებელ ნივთიერებათა თვისებებს, მთის ქანებზე, ლითონებსა და სხვა მაგარ ნივთიერებებზე ასაფეთქებელი ნივთიერების ზემოქმედების პროცესებს.

ლაბორატორიის ხელმძღვანელმა, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატმა გ. ბერიშვილმა ჩვენს კორესპონდენტს უამბო:

— არაჩვეულებრივი სცადელი ლაბორატორიის პროექტი შეიმუშავა ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთმა საპროექტო ინსტიტუტმა საქართველოს საპროექტო ინსტიტუტთან ერთად. ლაბორატორიის აგებაში დიდი დახმარება გვიწია სსრ კავშირის აფეთქების საქმის საუწყებათშორისო კომისიის თავმჯდომარემ პროფესორმა ე. მინდელმა.

ასაფეთქებელი კამერა აღჭურვილია თანამედროვე ოპტიკური და საზომი ელექტრონული აპარატურით. მაგალითად, განსაკუთრებული ზეჩქარი კინოკამერა საშუალებას გვაძლევს აღვბეჭდოთ კინოფირზე აფეთქების პროცესი, ხოლო სპეციალური აპარატურა გადაიღებს ამ პროცესს.

მსოფლიო მეცნიერებაში ჯერჯერობით საკმაოდ არ არის დამუშავებული მთის ქანების აფეთქებით დანგრევის რთული პროცესის ფიზიკურ-მექანიკურ თავისებურებათა თეორიული საკითხები. ამის გამო იკარგება აფეთქებით გამოწვეული უდიდესი სიმძლავრეები. ასაფეთქებელი კამერა დაეხმარება ქართველ სპეციალისტებს გადაჭრან ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის საჭიროებისათვის აფეთქების ყველაზე სრული გამოყენების მთელი რიგი თეორიული და პრაქტიკული ამოცანები.

ზრდისა და აღმავლობის ციფრები

ასმთი სათაურით „სამშობლოს ხმის" წინა ნომერში დაიბეჭდა მასალა, სადაც აღნიშნულია, რომ დღეს რესპუბლიკაში კინოდანადგარების რიცხვით 1940-თან შედარებით 1292-ჯერ მეტია, უნდა იყოს — 1292-ით მეტია.

იქვე აღნიშნულია, რომ ახლა საქართველოში ყოველ ათას კაცზე 35 ექიმი და 83 საშუალო სამედიცინო პერსონალი მოდის. უნდა იყოს — ყოველ 10 ათას კაცზე, შემდეგ კი როგორც ტექსტშია.

წერილი რედაქციას

ჩემი შვილი **ბორის იაკობის-ძე ვადიმოვი** დაბადებულია ქ. ლენინგრადში 1909 წელს. მე ნინო ივანეს ასული გვარამაძე — მასწავლებელი ვარ 87 წლისა, პერსონალური პენსიონერი, ყოფილი პედაგოგი. დამთავრებული მაქვს გიმნაზია-კავკაზში (ორკონიკიძე). ბორისის მამა — იაკობ ალექსანდრეს-ძე მანსვეტაშვილი იყო საზოგადო მოღვაწე, მწერალი, გაზეთ „ივერიის" თანამშრომელი.

1914 წელს მოგზაურობის მიზნით დროებით ვცხოვრობდი საფრანგეთში ქალაქ ნიცაში (ანდრე პულონის ქ. № 3). ამავე წელს მოვინდომე სწავლის გაგრძელება და საქმის მოსაგვარებლად ჩამოველი ლენინგრადში. ბავშვი დავიტოვე ნაცნობ ქალს. გამოცხადდა პირველი იმპერიალისტური ომი. უკან დაბრუნება ნიცაში ბავშვის წამოსაყვანად ვეღარ მოვახერხე, მაგრამ 1939-მდე მქონდა მიწერ-მოწერა შვილთან.

როგორც წერილებიდან ჩანს, ბორისი ბანკის თანამშრომელი იყო 1939 წელში გამოგზავნილი წერილის შინაარსი ასეთია:

„ძვირფასო დედა! მე მეტი გაჩუმება აღარ შემიძლია. აი უკვე ორი წელია არაფერი ვიცი შენს შესახებ. რა სიმკაცრეა! გეხვეწები მომწერე ერთი სიტყვა მაინც. როგორა ხართ შენ და მამა, ჩვენი ოჯახი. გაფიცებ, მიპასუხე ჩემს წერილზე და მე უველაფერს გავაკეთებ, რომ ჩამოვიდე თბილისში შენს სანახავად. ჩემო პატარა საღმერთებელო დედა, რომ იცოდე, როგორ მიყვარხარ! 25 წლის განშორება ეს საზარელი ბედია! გეხვეწები მომწერე მალე, მალე, მალე და მითხარ, რომ კვლავ გიყვარს შენი პატარა ბორისი, რომელსაც ერთი დღითაც კი არ შეუწყვეტია შენზე ოცნება და ფიქრი.

ბორისი".

შვილს ამ წერილზე პასუხი, მართალია, გაუგზავნე, მაგრამ სამაგიერო არ მიმიღია. დღემდე მის შესახებ არაფერი ვიცი.

გთხოვთ გამოიკვლიოთ ჩემი შვილის საცხოვრებელი ადგილი, მისამართი, ცოცხალია თუ არა, თუ ცოცხალია, გაახსენოთ, რომ მას თბილისში კვლავ ელოდება დედა და აქვს იმედი, რომ დაკარგულ შვილს იპოვნის.

ნინო გვარამაძე-მანსვეტაშვილი.

ფეხბურთი–67

ბრწყინვალე ფინიშით დაამთავრეს საფეხბურთო სეზონი თბილისის დინამოელებმა. ფაქტიურად უკვე უკანასკნელისწინა შეხვედრაში მოიპოვეს მესამე ადგილი ქართველმა ფეხბურთელებმა, როცა დამაჯერებელი ანგარიშით 5:1 დაამარცხეს თავიანთი მოსკოველი თანაკლუბელები.

45 ქულა მოიპოვეს ამ სეზონში თბილისელმა ფეხბურთელებმა და შარშანდელი მეშვიდე ადგილიდან მესამეზე გადაინაცვლეს. გულშემატკივრებს, რასაკვირველია, ახარებთ ეს შედეგი, რადგან თბილისელთა დაბრუნება საპრიზო ადგილზე იმას ნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი საუკეთესო კლუბი კვლავ აღმავლობის გზას დაადგა.

ახლა, როდესაც ჩემპიონატი დამთავრდა და ადგილები განაწილდა, შეიძლება სათანადო დასკვნების გამოტანა და მომავლისათვის ზოგიერთი აზრის გამოთქმა.

პირველი ადგილი და ჩემპიონის ოქროს medlები კიევის დინამოელებს ხვდათ. მათ მეორეჯერ ზედიზედ მოიპოვეს ეს მაღალი ტიტული და სრულიად დამსახურებულადაც. ეს თანამედროვე ექსტრა-კლასის გუნდია, რომელსაც კარგი რეზერვები და შემადგენლობის მანევრირების დიდი საშუალება აქვს.

ვერცხლის medlები მოსკოვის „დინამოს“ ფეხბურთელებმა მიიღეს. შარშან მოსკოველები მე-8 ადგილზე იყვნენ. წელს კი მნიშვნელოვნად გაუმჯობესეს თამაში და თითქმის მთელი სეზონის მანძილზე პირველ ადგილზე მიდიოდნენ. პირველ წრეში ერთადერთი დამარცხება მათ მოსკოვში თბილისელებმა მიაყენეს (0:1). მაგრამ სეზონის ბოლოს კიეველთა უფრო მაღალმა კლასმა თავისი სიტყვა თქვა. მოსკოველებმა სუსტად ჩაატარეს ფინიში. მაგრამ მეორე ადგილი, ამასთან სსრ კავშირის თასის მოპოვება მოწმობს, რომ ეს ერთ დროს ძლიერი კოლექტივი კვლავ უბრუნდება საბჭოთა ფეხბურთის ელიტას.

ჩვენ უკვე ვთქვით, რომ თბილისის „დინამომ“ 45 ქულით მესამე ადგილი დაიკავა. პირველ წრეში ქართველმა ფეხბურთელებმა 23 ქულა მოაგროვეს, მეორეში — 22. ამასთან გასვლითი თამაშები ჩაატარეს ისე, როგორც არასოდეს. მაგალითად, პირველ წრეში მათ სტუმრად ყოფნისას 15 ქულა აიღეს, მაშინ როდესაც თავის ქალაქში მხოლოდ — 8 (რვა თამაშიდან). ეს არნახული შემთხვევაა.

ეს შედეგები ერთი შეხედვით იმაზე მეტყველებენ, რომ „დინამომ“ სტატიურად ჩაატარა სეზონი, არ ჰქონია ჩავარდნები. ეს მართლაც ასეა, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ გუნდი განიცდის თაობათა ცვლას, ეს კი მეტად მტკივნეული პროცესია ფეხბურთელთა კოლექტივში (ანალოგიური ამბავი ხდებოდა წელს მოსკოვის „სპარტაკსა“ და „ტორპედოში“. პირველმა მე-7 ადგილი დაიკავა, მეორემ — მეთორმეტე).

გუნდის და მისი მწვრთნელების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ ბრწყინვალედ გაართვეს თავი ამ ძნელ ამოცანას. ხუმრობა ხომ არ არის, გუნდიდან მიდიოდნენ ისინი, ვინც თითქმის ათი წლის განმავლობაში ქართული ფეხბურთის მებაირახტრე და წამყვანი ძალა იყო. გუნდი დატოვა ვლ. ბარქაიამ, მესამასე მატჩით გამოეთხოვა ფეხბურთს შ. იამანიძე, ფეხბურთს ეთხოვება ბ. სიჭინავა, კრიტიკულ ასაკს მიაღწიეს მ. მესხმა, ს. მეტრეველმა, ს. ჯოტრიკაძემ, ი. დათუნაშვილმა.

აი ამ სიძნელის წინაშე იყვნენ სეზონის წინ როგორც ხელმძღვანელობა, ისე ფეხბურთელები. რასაკვირველია, იყო ხარვეზები, მაგრამ პირველი, რაც უნდა გაკეთებულიყო, ეს იყო დაცვის გაძლიერება. შეიძლება ეს ტენდენცია არ არის დამახასიათებელი ქართული ფეხბურთისათვის, რომელიც ყოველთვის შემტევი იყო, მაგრამ „დინამოელთა“ მთავარმა მწვრთნელმა ასე უპასუხა ამაზე: „მე შემტევი ფეხბურთის მომხრე ვარ, მაგრამ რომ შეუტიო, საჭიროა ზურგის გამაგრება, რათა ფეხბურთელებმა უკან არ იცქირებოდნენ. ჩვენი მიზანი იყო შეგვექმნა ვეტერანებისა და ახალგაზრდებისაგან მონოლითური კოლექტივი, რომელშიც კარგად შეერწყმოდა ერთმანეთს უფროსი თაობის გამოცდილება და ახალგაზრდების ენთუზიაზმი“.

გარდა ამისა, ნაკრებში ხშირად მიჰყავდათ მცველები მ. ხურცილავა და გ. ცხოვრებოვი, ახლა კი მათთან ერთად მიიწვიეს ს. კოტრიკაძე და გ. ნოდია. შესაძლოა გუნდმა დაკარგა ძველი ხელწერა, მაგრამ სეზონის ბოლოს, როცა მოედანზე შარშანდელთან შედარებით ფაქტიურად სულ სხვა გუნდი იყო, კვლავ ძველი „დინამო“ გამოჩნდა — შეტევებით, იმპროვიზაციით, ტექნიკური მრავალფეროვნებით... აღსანიშნავია, რომ ბოლო სამ შეხვედრაში ქართველმა ფეხბურთელებმა ათი ბურთი გაიტანეს მოწინააღმდეგის კარში და სეზონში გატანილი ბურთების რაოდენობით მეორე ადგილი დაიკავეს.

ჩვენი ქვეყნის სპორტული მიმომხილველები წერდნენ და შიშსაც კი გამოთქვამდნენ დინამოელთა მიერ დაცვის გაძლიერების თაობაზე. ისინი კითხვას სვამდნენ: ხომ არ დაკარგეს ქართველებმა ის, რაც მათ სხვებისაგან განასხვავებდა, და ხომ არ გადაიქცნენ იმ მოსაწყენ გუნდად, რომელიც ასე ბევრია. იგივე მიმომხილველებმა სეზონის ბოლოს აღნიშნავდნენ, რომ ამ დროებითმა მოვლენამ გაიარა და ფინიშზე თბილისის „დინამო“ კვლავ ის გუნდი იყო, რომელიც ყველას უყვარს.

მწვრთნელები ფიქრობენ მომავალზე და ეს კარგია. გადავხედოთ გუნდს. ახალგაზრდებმა ადგილი დაიკავეს ძირითად შემადგენლობაში და წამყვან ძალას წარმოადგენენ. მცველები — ჭელიძე, რუხვაიშვილი, შერგელაშვილი, კანთელაძე, პეტრიაშვილი, ნახევარმცველები — ასათიანი, კუტივაძე, თავდამსხმელები — ნოდია, გაგაშელი ჯერ კიდევ ზრდის პროცესში არიან და წინ დიდი სპორტული გზა აქვთ. რაც მთავარია, ყველანი მონდომებით და თავდადებით მუშაობენ და უნდა ვიფიქროთ, რომ მომავალში კიდევ მეტს გააკეთებენ.

გ. ნოდიამ სეზონში ცამეტი ბურთი გაიტანა, გ. გაგაშელი კი, რომელმაც მეორე წრის შუალედში დაიწყო თამაში, შვიდი ბურთის ავტორი გახდა. ეს ნიჭიერი ფორვარდები არიან, ამაზე მეტყველებს ისიც, რომ გ. ნოდია ნაკრებში გაიწვიეს. კ. ასათიანზე წელს დაიწყეს ლაპარაკი და სავსებით სამართლიანადაც, იგი კარგი ათლეტური მონაცემების და ტექნიკური ფეხბურთელია. ჭელიძე, რუხვაიშვილი, კანთელაძე... თუ ორ მათგანს უკვე საკმაო გამოცდილება აქვს, მესამე მხოლოდ ახლა იკიდებს ფეხს დიდ ფეხბურთში, ახალგაზრდულ ნაკრებში კი ერთ-ერთი საუკეთესო იყო.

ერთი სიტყვით, მომავალს იმედის თვალით უნდა ვუყურებდეთ, ჯერ კიდევ არ „დაბერებულან“ მესხი, მეტრეველი. ამ ვარსკვლავებს ჯერ კიდევ დიდხანს შეუძლიათ გაახარონ გულშემატკივრები.

ძალიან დაძაბული სეზონი ლებიც წელს შეიქმნა, შედეგი დამაკმაყოფილებლად უნდა მივიჩნიოთ. მით უმეტეს გულშემატკივრებს კარგად ახსოვთ 1954-1959 წლები, როცა სწორედ თაობათა ცვლამ გამოიწვია ხანგრძლივი ჩავარდნები, და თუმცა ზოგიერთ თამაშს ბრწყინვალედ ატარებდა, საბოლოო ანგარიშში გუნდი არ ბრწყინავდა. მაშინ მოვიდა სწორედ ის თაობა, რომელიც ახლა მიდის, ის თაობა, რომელიც გუნდში დავაკვაცდა, ის თაობა, რომელიც ჩემპიონი გახდა. ეს თაობა მიდის, მათ ბევრი რამ გააკეთეს ქართული ფეხბურთის დიდებისათვის, ხოლო მათ შეცვლას დრო და მოთმინება სჭირდება. გუნდის განახლება რთული რამ არის, მაგრამ ოპტიმისტური უნდა ვიყოთ. გვაქვს ნიჭიერი მასალა და ჩვენზეა დამოკიდებული, თუ რა მიმართულებას მივცემთ მას, თბილისის „დინამო“ ის გუნდია, რომელიც ყოველთვის მოწინავეთა შორის უნდა იყოს.

საქართველოს რესპუბლიკის შეორე გუნდმა — ქუთაისის „ტორპედომ“ მეცამეტე ადგილი დაიკავა. ეს მიღწევაა შარშანდელ მეთხუთმეტე ადგილთან შედარებით, მით უმეტეს, რომ გუნდს ჰქონდა სიძნელეები, მაგრამ, როგორც დავინახეთ, ყველაფერი რიგზე აღმოჩნდა.

უპირველეს ყოვლისა ეს იყო გ. ნოდიასა და ს. გუტივაძის თბილისის „დინამოში“ გადასვლა. მათ ადგილებზე სათანადო მოთამაშეების შერჩევასა და ძებნაში (როდესაც დაირღვა თამაშის ჩვეული ნახაზი) გუნდმა მთელი პირველი წრე გაატარა და ცამეტი ქულა დააგროვა. სამაგიეროდ მეორე წრეში, განსაკუთრებით კი ფინიშზე ქუთაისელთა გუნდი მშვენივრად მუშაობდა და თვრამეტი ქულა მოიპოვა.

ეს ახალგაზრდული და პერსპექტიული გუნდია, მოთამაშეებს უყვართ ფეხბურთი, მუშაობენ თავის თავზე და ყოველწლიურად აუმჯობესებენ თამაშს. გუნდმა იმ 6 წლის მანძილზე, რაც უმაღლეს ლიგაში თამაშობს, შესანიშნავი ფეხბურთელები გამოზარდა, რომლებიც ღირსეულად იცავენ ჩვენი რესპუბლიკის სახელს.

გუნდის მწვრთნელმა გ. ნორაკიძემ თქვა, რომ მომავალ სეზონში „ტორპედო“ უკეთ ითამაშებს და ათეულში შევა. საამისოდ გუნდს ყველა პირობა აქვს. და საერთოდ ქუთაისელ ფეხბურთელთა გუნდი პოპულარობით სარგებლობს როგორც საქართველოში, ისე საბჭოთა კავშირშიც.

აი ის ძირითადი, რაც გვინდოდა გვეთქვა. თუმცა ამ მცირე საგაზეთო წერილში მთელი სეზონის სრული და დაწვრილებითი ანალიზის გაკეთება ძალიან ძნელია (თან მთელი მართლაც რომ ბევრი რჩება), მაგრამ ყველაფერი, რაზეც ვილაპარაკეთ, ფიქრობთ, გარკვეულ წარმოდგენას შეგიქმნით ქართული ფეხბურთის დღევანდელ დღეზე და მისი უახლოესი მომავლის ზოგიერთ მხარეზე.

რასაკვირველია, ჩვენ განვიხილეთ მხოლოდ ფეხბურთზე, სპორტის სხვა სახეობაშიც ბევრი რამ იყო საინტერესო, იყო წარმატებებიც და წარუმატებლობაც, სპორტს საერთოდ ჩვენია ეს, მაგრამ ამჯერად მხოლოდ ფეხბურთით შემოვიფარგლოთ.

ტრადიციისამებრ ახალი წლის წინ საქართველოს ჟურნალისტები 10 საუკეთესო სპორტსმენს ასახელებენ. მათ სახელებს თქვენც გაიგებთ, ამაზე ახალი წლის ნომერში გვექნება საუბარი, ეს კი საშუალებას მოგვცემს შევაჯამოთ ის გზა, რომელიც ათას ცხრაას სამოცდა შვიდ წელს გადადგა ქართულმა სპორტმა.

ო. ლოლაძე.

სურათზე: თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდი.

მოისმინეთ რადიოგადაცემები ქართულ ენაზე ყოველი თვის მეორე და მეოთხე სამშაბათს 7 საათიდან 7 საათსა და 30 წუთამდე შუა ევროპის დროით: საშუალო ტალღაზე 227 მეტრი ან 1322 კილოგერცი, მოკლე ტალღაზე — 30,83 მეტრი ან 9730 კილოგერცი.

გადაცემები ქართულ და აფხაზურ ენებზე შუა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებისათვის ყოველ კვირა დღეს 17 საათსა და 45 წუთიდან 18 საათსა და 15 წუთამდე, თბილისის დროით მოკლე ტალღაზე — 50.59 მეტრი ან 5930 კილოგერცი.

სარედაქციო კოლეგია

კოუსრიდეთ საქართველოს

ჩვენი მისამართი:

თბილისი, გ. ათონელის ქ. № 25